საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9183/01
25/09/2020

9183-01-2-202009251124

სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“

მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა N 19; 0186

თქვენი 2020 წლის 17 სექტემბრის N14742 სკოპინგის განცხადების პასუხად, რომელიც ეხება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჭიათურის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დილიკაური“-ს და 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ჭიათურა 5“-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს, გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკოპინგის განცხადებაში და სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის განცხადებაში და სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ჭიათურის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, თუმცა წარმოდგენილი Shp ფაილების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ასევე მოიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფ. ღვანკითის ტერიტორიას, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 ნაწილი გულისხმობს, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. თუმცა წარმოდგენილ განცხადებაში არ არის მითითებული, რომელი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ცვლილებას გულისხმობს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული და სრულყოფილი სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე